# საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

## ბრძანება №48/ნ

## 2019 წლის 7 მარტი

## ქ. თბილისი

**„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის ორგანული მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2018 წლის 05 ივლისის კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 (სსმ, 112, 26/09/2005) ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი №2-ით გათვალისწინებული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – ქალაქ ქუთაისის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებულ სსიპ – ქალაქ ქუთაისის №25 საჯარო სკოლას შეეცვალოს მინიჭებული ნომერი და განისაზღვროს სსიპ – ქალაქ ქუთაისის №4 საჯარო სკოლად.

**მუხლი 2**

სსიპ – ქალაქ ქუთაისის №25 საჯარო სკოლის უფლებამონაცვლედ განისაზღვროს სსიპ – ქალაქ ქუთაისის №4 საჯარო სკოლა.

**მუხლი 3**

შეტანილ იქნეს ცვლილება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში (სსმ, 112, 26/09/2005) და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი №2-ით გათვალისწინებული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – ქალაქ ქუთაისის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებული საჯარო სკოლების თავის 23-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | |
|---|---|---|---|
| 23 | ქალაქ ქუთაისის №4 საჯარო სკოლა | დავითაშვილის ქ. №32 | დაწ-საბ-საშ. |

**მუხლი 4**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს განათლების,**
**მეცნიერების, კულტურისა და** **მიხეილ ბატიაშვილი**
**სპორტის მინისტრი**